სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/02

ქ. თბილისი 8 იანვარი 2020

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებული არჩევნების შედეგების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტისა და 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტისა და მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-8 პუნქტისა და 43-ე მუხლის მე-7 პუნქტის, 2020 წლის 8 იანვრის უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის №2 შემაჯამებელი ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 8 იანვრის №01-05-02/02 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) თანამდებობის დასაკავებლად 2020 წლის 08 იანვარს აკადემიურ საბჭოში ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) თანამდებობაზე არჩეულად გამოცხადდეს კარლო კოპალიანი და მისი უფლებამოსილება წარმოშობილად ჩაითვალოს 2020 წლის 20 იანვრიდან;
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) წარედგინოს კარლო კოპალიანის კანდიდატურა დასამტკიცებლად.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**